

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26  
2021 წლის 21 დეკემბერი

ქ.ლაგოდები

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნას ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №9 დადგენილებაში. (www.matsne.gov.ge 18/01/2018, 010250050.35.167.016358).

**მუხლი 2**

დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართში შეიცვალოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 3**

დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართში შეიცვალოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი №1

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4510 ლარი
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3410 ლარი
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2970 ლარი
	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	



4		2420 ლარი
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2200 ლარი
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1760 ლარი

დანართი №2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

№	მოხელის თანამდებობათა რანგები	თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
№		თანამდებობის დასახელება		
1	I რანგი	აპარატის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	2530
ადმინისტრაციული განყოფილება				
2	II რანგი	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი - საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1760
3	III რანგი	რეფერენტი-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1100
4	III რანგი	საკანცელარიო საკითხების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	990
		მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოებისა და		



საორგანიზაციო განყოფილება

5	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1760
6	III რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1210
7	III რანგი	ადამიანური რესურსების მართვის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1100

